

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

სულხან ტაბაღა

ფისკალური სტიმულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019

ნაშრომი შესრულებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე,
ეკონომეტრიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხალმმდვანელი:

იური ანანიაშვილი
პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტი.

ოფიციალური შემფასებლები:

მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტი.

თამარ კბილაძე
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება: 2020 წლის 17 იანვარს 15:00 საათზე, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2, თსუ X კორპუსი, აუდიტორია
№206.

სწავლული მდივანი,
ეკონომიკის დოქტორი

მანანა ლობჯანიძე

სარჩევი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება-----	4
ნაშრომის აქტუალობა-----	4
პრობლემის შესწავლის მდგომარეობა-----	6
კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები-----	6
კვლევის საგანი და ობიექტი-----	6
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი-----	7
ნაშრომის მეცნიერული სიახლე-----	7
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა-----	7
ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია-----	8
სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა-----	8
ნაშრომის შინაარსი-----	9
ნაშრომის ძირითადი შედეგები-----	19
გამოქვეყნებული შრომები-----	22

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალობა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება ნებისმიერი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, რაც მხოლოდ წარმოებული საქონლითა და მომსახურეობის რაოდენობით არ განისაზღვრება. დამატებით საჭიროა მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა და ეს ყველაფერი მთავრობის მხრიდან ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სწორად დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის მიერ შემუშავებული ფისკალური სტიმულები მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რადგან ისინი გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორის მიმდინარე თუ სამომავლო მდგომარეობაზე და ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ ლიტერატურაში არაერთგვაროვნად არის განმარტებული. თუმცა მეცნიერ-ეკონომისტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები უდავოდ წამყვან როლს თამაშობს გამოშვებისა და დასაქმების დონის განსაზღვრაში. ფისკალური პოლიტიკა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას (განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში) ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორსა და კერძო სექტორს შორის „ოპტიმალური თანაფარდობის“ ფორმირების ერთ-ერთ საშუალებად. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ფისკალური პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ მისი მეშვეობით სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობს მოქალაქეთა შემოსავლების ფორმირების პროცესში.

ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ფისკალური პოლიტიკის მოსალოდნელი გავლენის შედეგების შეფასებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდები. მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედებს ძირითადად საქონელსა და მომსახურებაზე შინამეურნეობების, ბიზნესისა და მთავრობის მოთხოვნის ცვლილების არხით. კერძოდ, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა (გადასახადების შემცირება ან/და მთავრობის ხარჯების ზრდა) ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც წარმოებისა და დასაქმების ზრდის

სტიმულს ქმნის ბიზნესისათვის. გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფოს ვალის მოცულობის, ფიზიკური პირებისა და ბიზნესის სტიმულების, დანაზოგებისა და სახელმწიფოს ინვესტიციების ცვლილებით გავლენა ახდენს შრომის და კაპიტალის მწარმოებლურობაზე და იწვევს პოტენციურ მშპ-ის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ფისკალური სტიმულები, როგორც მთავრობის ხელთ არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი, განსაზღვრავს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას, წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილების ან მისი შედეგების შემცირების საშუალებას. შესაბამისად, მისი როლი მნიშვნელოვანია, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პროცესში.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად ფისკალური სტიმულების აქტიურად გამოყენება დაიწყო 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში. ეკონომიკური პროცესების მართვაში ფისკალური პოლიტიკის გამოყენების აუცილებლობა კიდევ ერთხელ დადასტურა 2008-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა, როცა ქვეყნების უმრავლესობა აქტიურად შეუდგა ფისკალური სტიმულების შემუშავებას. კერძოდ, დაფიქსირებული ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირების საპასუხოდ მთავრობების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადასახადების შემცირების, სუბსიდიებისა და ხარჯების გაზრდის თაობაზე. აღნიშნულ პერიოდში მხოლოდ “დიდი ოცეულის” ქვეყნებში ფისკალური სტიმულების სიდიდემ შეადგინა 2 ტრილიონი აშშ დოლარი, რაც ამ პერიოდის მსოფლიო მშპ-ის 1.4% შედაგენს.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში არაერთი ეკონომიკური პროგრამა (რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი სწორედ ფისკალური სტიმულები იყო) შემუშავდა და განხორციელდა, საკმაოდ მწირია სამეცნიერო კვლევები, სადაც კომპლექსურად არის განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა: ფისკალური სტიმულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე; ფისკალურ სტიმულებსა და მთავრობის ზომას შორის კავშირი; მთავრობის ოპტიმალური ზომა; ეკონომიკური რეფორმების მაკროეკონომიკური თავისებურებების შეფასება გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში; საბიუჯეტო ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტი.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. კეინზის „ზოგადი თეორიის“ გამოსვლის შემდეგ ფისკალური სტიმულები ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა, რომელსაც არაერთი უცხოელი თუ ქართველი მეცნიერის კვლევა მიემდვნა. აღნიშნულ საკითხს ასევე აქტიურად იკვლევს: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD); მსოფლიო ბანკი (World bank); ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD); შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). ფისკალური პოლიტიკის შესახებ პერიოდულ კვლევებს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ფისკალურ სტიმულებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის, ასევე მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტის შეფასება. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

1. ფისკალური პოლიტიკის გარშემო არსებული თეორიების შედარებითი ანალიზი და მაკროეკონომიკური როლის შეფასება;
2. ფისკალური სტიმულების ეფექტიანობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე;
3. მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტის შესწავლა საქართველოსთვის;
4. მთავრობის ზომის მაკრო მოდელის ჩამოყალიბება და მთავრობის ოპტიმალური ზომის მაკროეკონომიკური ბუნების შეფასება საქართველოსთვის.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია თეორიულ და ეკონომეტრიკულ ჭრილში ფისკალური სტიმულების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური მოდელის, მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის გზით. კვლევის ობიექტია კლასიკური, კეინზიანური, პოსტკეინზიანური და ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორიების პოზიციიდან საქართველოსა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბიუჯეტო ხარჯები, შემოსავლები და ეკონომიკური ზრდის მახასიათებლები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის პროცესში გამოყენებულია ფისკალური სტიმულების შესახებ არსებული თეორიული და ეკონომეტრიკული მოდელები. ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, World bank, OECD, EBRD) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიასა და კვლევებს, ასევე ამ საკითხებზე არსებულ სხვა კვლევებს, რომლებშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელები და მათში გამოყენებული ცვლადების განსხვავებული კომბინაცია, ფაქტორთა მნიშვნელოვნება კი შეფასებულია შესაბამისი სტატისტიკური კრიტერიუმებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ფისკალური სტიმულების შესახებ არსებული კვლევებისაგან განსხვავებით წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა ფისკალური სტიმულების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება მთავრობის ზომის მაკრო მოდელის საფუძველზე. კონკრეტულად, კვლევის პროცესში მიღებული შედეგები და სიახლეები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაცალიბოთ:

1. გაანალიზებულია კავშირი ფისკალურ სტიმულებს, ფისკალურ წესებსა და მშპ-ს შორის;
2. გამოვლენილია და შეფასებულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მშპ-ის ზრდის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების მნიშვნელოვნება;
3. საქართველოსთვის შეფასებულია მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატრების ეფექტი, ასევე ხარჯების შოკების გავლენა მშპ-ზე და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;
4. გაანალიზებულია ფისკალურ სტიმულებსა და მთავრობის ზომას შორის კავშირი, ჩამოყალიბებულია მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური მოდელი და საქართველოსთვის გამოვლენილია მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებული მიდგომები და მიღებული შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ფისკალური პოლიტიკის აქტუალური საკითხებით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომში შეფასებული მთავრობის ზომის მოდელი, ეკონომიკურ ზრდაზე სამთავრობო ხარჯების შოკის შეფასებები, განხორციელებული რეფორმების მაკროეკონომიკური ასპექტების ანალიზი. ისევე როგორც კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სხვადასხვა მიგნებები ხელს

შეუწყობს ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის შემუშავებას და მისი გათვალისწინების შემთხვევაში მთავრობის ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 27 ივლისის (№23/29-01) ბრძანების შესაბამისად.

შესრულებული კვლევის შედეგებზე გამოქვეყნებულია 9 სამეცნიერო პუბლიკაცია (მათ შორის: 6 სტატია და 3 საკონფერენციო მასალა). კვლევის ფარგლებში წარმოდგენილმა პროექტებმა მიიღო ორი სამეცნიერო გრანტი:

✓ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი, 2016 წელი (№03/33);

✓ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გრანტი, 2016-2018 წწ (PhDF2016_104).

ნაშრომის აპრობაცია შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის 2019 წლის 26 ივლისის სხდომაზე (ოქმი №8).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს 204 გვერდს და შესდგება შესავალის, გამოყენებული აბრევიატურების ჩამონათვალის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან.

ნაშრომის შინაარსი

შესავალი

განხილულია თემის აქტუალურობა, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია და სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.

თავი 1. ფისკალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები

ნაშრომის პირველ განხილულია ფისკალური პოლიტიკის როლი და ადგილი კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში, ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური როლის გენეზისი (კეინზიანური თეორია და მისი ევოლუცია), ასევე ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორიის ჩამოყალიბების საწყისები.

კლასიკოსები სიმარტივისათვის უშვებენ, რომ მთავრობის ხარჯების ზრდა ფინანსდება გადასახადების ზრდის ხარჯზე. ამასთან, უნდა განვასხვავოთ მთავრობის ხარჯების ერთჯერადი ზრდა და პერმანენტული ზრდა. თუ ადგილი აქვს მთავრობის ხარჯების ერთჯერად ზრდას, მაშინ მოხმარების მოცულობა არ იცვლება, რადგან განკარგვადი შემოსავლების შემცირება კომპენსირდება დანაზოგების შემცირებით. აღნიშნულისაგან განსხვავებით, როცა მთავრობის ხარჯების ზრდა პერმანენტულ ხასიათს ატარებს, მაშინ ადგილი აქვს საოჯახო მეურნეობების მოხმარების შემცირებას და არა დანაზოგების შემცირებას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, სამომხმარებლო ხარჯების შემცირება მთავრობის ხარჯების ნაზრდის ტოლია.

ნეოკლასიკური სკოლის იდეები ფისკალური პოლიტიკის შესახებ მიწოდების ეკონომიკისა და მონეტარული თეორიის ფარგლებში იქნა განხილული. „მიწოდების თეორიის“ მოდელის რეალიზაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადასახადების შემცირებას და მთავრობის ხარჯების შეზღუდვას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება არტურ ლაფერის ცნობილ მრუდს, რომელიც ასახავს გასაშუალებულ საგადასახადო განაკვეთსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის თანაფარდობას. იმ წერტილის შემდეგ, რომლისთვისაც საბიუჯეტო შემოსავლები მაქსიმუმს აღწევს, გადასახადების ზრდა ამცირებს საგადასახადო შემოსავლებს.

„მიწოდების ეკონომიკის” თეორიის მიმდევრების დამოკიდებულება ფისკალური პოლიტიკის მეორე ინსტრუმენტის - მთავრობის ხარჯების მიმართ იმის ანალოგიურია, რაც მათ საგადასახადო მექანიზმის გამოყენების მიმართ გააჩნიათ. მათი ანალიზის ამოსავალი წერტილია მთავრობის ხარჯების ზრდასა და ინფლაციას შორის არსებული მჭიდრო კავშირი.

ბოლო პერიოდში ცალკეული მეცნიერის მიერ მოხდა მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადაფასება და ეკონომიკური კონსენსუსის თეორიის ჩამოყალიბება. ამის ერთერთ მაგალითს წარმოადგენს ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელი¹, რომლის ავტორები ცდილობენ თავი დააღწიონ კეინზიანურ მოდელებში და მიწოდების თეორიაში გადასახადებთან დაკავშირებით არსებულ ცალმხრივ მიდგომას. მსგავსი სინთეზის საილუსტრაციოდ შემოთავაზებულ ზოგადი წონასწორობის მოდელში, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციების მთავარ განმსაზღვრელს წარმოადგენს საშუალო საგადასახადო განაკვეთი.

თავი II. ფისკალური სტიმულების მაკროეკონომიკური როლის შეფასება

ნაშრომის მე-2 თავში გაანალიზებულია ფისკალური სტიმულების როლი ეკონომიკური პოლიტიკაში და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ აგრეგატებზე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გარდამავალი პერიოდის თავისებურებებს და არსებული მდგომარეობის შეფასებას ასევე ეკონომიკური ზრდის შეფასებას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ამ ქვეყნებში დღეს არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გავაანალიზეთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კვლევა “გარდამავალი ინდიკატორი”, რომელიც ყოველწლიურად აფასებს სხვადასხვა სექტორში, თუ ზოგადად ქვეყანაში, მიმდინარე რეფორმების თავსებადობას დასახულ მიზნებთან. ცალკეულ წლებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრივატიზაციის, ვაჭრობის, უცხოური გაცვლითი სისტემის, კონკურენციისა თუ

¹Ananiashvili I., Papava V. Laffer-Keynesian Syntesis and Macroeconomic Equilibrium. NewYork, Nova Science Publishers, 2014.

სახელმწიფო საწარმოების კორპორატიული მმართველობის კუთხით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (2014 წლის მდგომარეობით) ჯერ კიდევ არ ხასიათდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან სრული თავსებადობით. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში ყველაზე დაბალი (საშუალო) მაჩვენებელი კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით გამოვლინდა, რაც საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და დღემდე რჩება ამ ქვეყნებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ფაქტორებსა და მშპ-ს შორის არსებული კავშირების შეფასებისთვის, ასევე ცალკეული ფაქტორების მნიშვნელოვნების შესწავლისთვის შევაფასეთ პანელური მოდელი 25 ქვეყნის 1996-2014 წლების მონაცემების გამოყენებით. მოდელის დამოკიდებული ცვლადი (Y) ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ოფიციალურ სტატისტიკას, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები - ინფლაციის მაჩვენებელი (LNP), სტრუქტურული რეფორმების ინდექსი (RI), მთავრობის ხარჯების წილი მშპ-ში (g), ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი (LIP), ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა) (LEN), ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა (LEX), პრივატიზაციის ინდექსი (LSP) და ინვესტიციები (IN) - აღებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ოფიციალური კვლევებიდან.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მაგალითზე გაანალიზებული მოდელებისა და ცვლადების ზოგადი შეფასება შემდეგ თავისებურებებზე მიგვითითებს:

- ✓ ინფლაციის (LNP) უარყოფითი გავლენა მშპ-ზე დასტურდება ყველა მოდელში;
- ✓ სტრუქტურული რეფორმების ინდექსი (RI) შეფასების მიხედვით მშპ-ზე დადებითად ზემოქმედებს როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პერიოდში;
- ✓ მოდელების უმრავლესობის თანახმად მშპ-ზე მთავრობის ხარჯების (g) გრძელვადიანი გავლენა უარყოფითია;
- ✓ განხილულ მოდელებში მშპ-ზე ზემოქმედების თვალსაზრისით არაერთგაროვან სურათს ვაწყდებით ფასების ლიბერალიზაციის ინდექსთან (LIP) მიმართებაში;
- ✓ მოდელების უმრავლესობაში ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (LEN) სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს ერთი ლაგის დაგვიანებით იძლევა, თანაც LEN-ის გავლენა მშპ-ზე ძირითადად უარყოფითია;

✓ შეიძლება ითქვას, რომ მოდელების უმრავლესობაში გამოკვეთილი სურათი არ მიიღება ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემის (LEX) მიმართ;

✓ პრივატიზაციის იდექსი (LSP) ჩართული იყო მხოლოდ ორ მოდელში. ორივე მათგანის მიხედვით LSP მშპ-ზე დადებით გავლენას ახდენს საწყის პერიოდში, გრძელვადიანი ეფექტი კი უარყოფითია;

✓ განხილულ ყველა მოდელში ინვესტიციების დადებითი გავლენა მშპ-ზე ძირითადად გრძელვადიან პერიოდში ვლინდება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფაქტორის კოეფიციენტის ნიშანი არ არის შესაბამისობაში ზოგადი თეორიით გათვალისწინებულთან. მაგალითად, მშპ-ზე პტივატიზაციის ინდექსის ზრდის გრძელვადიანი გავლენა უარყოფითია, რაც შინაარსობრივად საკმარისად ძნელი ასახსნელია.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულმა ლაგიანმა მოდელმა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა განხილული ფაქტორების იმ როლზე, რასაც ისინი ასრულებენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროცესში. მაგრამ იმის გამო, რომ შეფასებულ ლაგურ მოდელში ცვლადთა საკმარისად დიდი რაოდენობა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეფასებინა პანელური მოდელი ლაგური ცვლადების გათვალისწინების გარეშე. გარდა ამისა, იმის დასადგენად, შეიცვალა თუ არა წლების განმავლობაში ფაქტორების როლი განხილული ქვეყნების ეკონომიკების ჩამოყალიბებისა და ზრდის პროცესში, საანალიზო პერიოდი დავყავით ორ ნაწილად (1999-2007 და 2007-2014 წლები) და თითოეულისთვის შევაფასეთ პანელური მოდელის ერთნაირი ვარიანტები.

აღსანიშნავია, რომ განხილულ მოდელთა უმრავლესობაში ცხადად გამოიკვეთა ფაქტორთა დიდი ნაწილის სტატისტიკური მნიშვნელოვნება.

ამასთან გვინდა გამოვყოთ რამდენიმე გარემოება:

✓ ინფლაციისა და მთავრობის ხარჯების გავლენა მშპ-ზე უარყოფითია ორივე პერიოდში;

✓ სტრუქტურული რეფორმების, ფასების ლიბერალიზაციის გავლენა მშპ-ზე უარყოფითია 1999-2007 წლებში, დადებითია 2007-2014 წლებში;

✓ ინვესტიციების გავლენა მშპ-ზე დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ორივე პერიოდში;

✓ რაც შეეხება ზოგად სურათს, 2007-2014 წლების მონაცემების მოდელებში ფაქტორთა უმრავლესობის შეფასებები გაუმჯობესებულია 1999-2007 წლების მოდელების შეფასებებთან შედარებით.

თავი III. მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური როლის შეფასება (საქართველოს მაგალითზე)

მე-3 თავში საუბარია მთავრობის როლზე, რომელსაც ის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას ასრულებს, მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორზე, მთავრობის ზომის სამართლებრივი შეზღუდვის მაკროეკონომიკური ასპექტებზე და მთავრობის ზომის განსაზღვრის მაკრომოდელებზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირ შემთხვევაში ფისკალური სტიმულების ანალიზისთვის მიმართავენ აგრეგირებული საბიუჯეტო ხარჯების ან შემოსავლების მშპ-ზე გავლენის შეფასებას. მაგრამ აგრეგირებული საბიუჯეტო ხარჯები მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის მქონე სხვადასხვა კომპონენტს, რომლებიც სხვადასხვა მაკროეკონომიკურ სიდიდესა თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულ სეგმენტზე ახდენენ გავლენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დისერტაციაში, სხვა კვლევებისაგან განსხვავებით, შევეცადეთ ხარჯების თითოეული კომპონენტის მულტიპლიკატორის მნიშვნელობის შეფასებას.

შესაფასებელ მოდელში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლად ვიხილავთ რეალურ მთლიან შიგა პროდუქტს (Y), ხოლო მთავრობის ხარჯების კომპონენტებად გამოვყავით: მთავრობის მოხმარება (GEXP); ტრანსფერები (TR); პროცენტი (RDG); გრანტები (GG); სხვა ხარჯები (GO). ყველა მათგანი აღებულია კვარტალურ ჭრილში (2005-ის II კვარტლიდან 2017-ის IV კვარტალის ჩათვლით) 2010 წლის ფასებში.

მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ანალიზი ეფუძნება სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის მოდელს (SVAR). სტანდარტული ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) მოდელისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება შესაბამის ცვლადებს შორის სტრუქტურული დამოკიდებულება მათი ურთიერთგავლენის მიმართულების გათვალისწინებით. მოდელის შეფასების შედეგად მივიღეთ, რომ კუმულაციური მულტიპლიკატორის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა

შეესაბამება მთავრობის მოხმარებას, შემდეგ მოდის გრანტებისა და პროცენტის მულტიპლიკატორები, ხოლო, სხვა ხარჯებისა და ტრანსფერების მულტიპლიკატორის მნიშვნელობები უარყოფითია (იხილეთ ცხრილი 1.). ეს შეფასებები გვიჩვენებს, რომ საქართველოს შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ზოგადად ერთზე ნაკლებია.

ცხრილი 1. მთავრობის ხარჯების თითოეული კომპონენტის კუმულაციური მულტიპლიკატორი

მთავრობის ხარჯების კომპონენტები				
GEXP	GG	GO	RDG	TR
0.45	0.23	-0.009	0.08	-0.12

ნაშრომში მთავრობის ზომის სამართლებრივი შეზღუდვის ნაწილში განხილულია 2011 წელს მიღებული კანონი “ეკონომიკური თავისუფლების შესახებ”, რომლის შესაბამისად მოხდა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრა. მაკროეკონომიკური პარამეტრების სამართლებრივი შეზღუდვები არსებითად შეიცვალა 2019 წლის პირველ იანვარს აღნიშნულ კანონში შესული ცვლილებებით, რომელმაც ჩამოაყალიბა განსხვავებული რეალობა და მაკროეკონომიკური პარამეტრების განაგარიშების მეთოდოლოგია. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

- ✓ ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ იზრდება დეფიციტის გაანგარიშების არეალი მისი ერთიან ბიუჯეტთან თანაფარდობაში მოყვანით; მეორე მხრივ, ხაზგასასმელია ერთიანი ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი სტატისტიკის არ არსებობა.

- ✓ მშპ-თან თანაფარდობაში სახელმწიფო ვალი იცვლება მთავრობის ვალით, რაც არის სახელმწიფო ვალი ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და ემატება ყველა დონის საჯარო უწყებების ვალი.

- ✓ დადებითად უნდა შეფასდეს ის ცვლილებები, რომლიც უკავშირდება ერთიანი ბიუჯეტის დადგენილი ზღვრებიდან გადახრის შემთხვევის წინაპირობების დაკონკრეტებას და ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობის გაჩენას.

- ✓ აღნიშნული ცვლილების შედეგად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არასაფინანსო აქტივების ზრდის ზღვრული მაჩვენებელი ქრება კანონის რეგულირების სფეროდან, 2019 წლის პირველი იანვრიდან.

✓ იზრდება საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულების დონე პარლამენტთან მიმართებაში, რაც გამოიხატება საკანონმდებლო შეზღუდვების შესრულების ან გადახრის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენაში.

ნაშრომში მთავრობის ზომის შეფასებისთვის გაანალიზებულია რამდენიმე მოდელი. ერთი მათგანია არმეის მრუდის თეორიული მოდელი, რომელიც გვიჩვენებს მთავრობის ზომასა (მთავრობის ხარჯები/მშპ) და მშპ-ს შორის თანაფარდობას. მრუდის თანახმად, მცირე ზომის მთავრობის პირობებში მშპ-ის ზრდის ტემპი მცირეა (თეორიულ დონეზე ის შეიძლება ნულიც იყოს). მთავრობის ხარჯების ზრდა გარკვეულ დონემდე ხელს უწყობს მშპ-ის სტიმულირებას, რაც აისახება მშპ-ის ზრდაში უფრო და უფრო მაღალი ტემპით. გარკვეულ წერტილში მთავრობის ზომა აღწევს იმ მნიშვნელობას, რომელიც გამოსახავს მთავრობის ოპტიმალურ ზომას, სადაც მშპ-ის ზრდის ტემპი აღწევს მაქსიმუმს. ამ წერტილის შემდეგ მთავრობის ზომის ზრდა ამცირებს მშპ-ის ზრდის მაჩვენებელს, ვინაიდან ზედმეტად გაზრდილი სამთავრობო ხარჯები თანდათანობით ზრდის საგადასახადო ტვირთს როგორც მწარმოებლებისთვის ასევე მომხმარებლებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის არარსებობის ან ქაოსური ინსტიტუციონალური გარემოს პირობებში მთავრობის ზომა ნულის ტოლი არ არის, ვინაიდან ადგილი აქვს გარკვეულ ავტონომიური ხარჯების გაწევს, რასაც შეესაბამება მშპ-ის გარკვეული სიდიდე.

ნაშრომში მთავრობის ზომასა და მშპ-ს შორის კავშირის გასაანალიზებლად განხილულია კიდევ ერთი მოდელი, რომელიც ეკუთვნის რ. ბაროს¹. აღნიშნული მეცნიერი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც მოახდინა მთავრობის ზომის ანალიზი ენდოგენური ზრდის მოდელის ფარგლებში. აღნიშნულ მოდელში შინამეურნეობების ოპტიმალური ქცევის სისტემასთან ერთად წარმოდგენილია სახელმწიფო სექტორი. ამ უკანასკნელის მონაწილეობა წარმოების პროცესში აღიწერება სპეციფიური საწარმოო ფუნქციის მეშვეობით, რომელშიც წარმოების ფაქტორებად განიხილება კაპიტალი და მთავრობის ხარჯები. საწარმოო ფუნქციის მოდელს შემდეგი სახე აქვს:

¹Barro, R. Government spending in a simple model of endogenous growth, Journal of Political Economy. No 2588, NBER Working Papers, 1988.

$$y = f(k, g) = A K^{1-a} g^a, \quad 0 < a < 1, \quad (1)$$

სადაც y - აღნიშნავს მშპ-ს ერთ სულზე;

A - ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა;

K - მწარმოებლების (კერძო სექტორის) ხელთ არსებული კაპიტალის რაოდენობა ერთ სულზე;

g - მთავრობის ხარჯები (შესყიდვები) ერთ სულზე.

(1) ფუნქციის მიხედვით მთავრობის ხარჯების ზრდა ხელს უწყობს კერძო სექტორის მწარმოებლურობის ზრდას, ვინაიდან ის ემსახურება კერძო სექტორისათვის დამატებითი მომსახურებების მიწოდებას. თუ ამ ფუნქციას იზოლირებულად განხილავთ დამოუკიდებელი მოდელის როლში, ადვილად შევნიშნავთ, რომ მოცემული a -ს პირობებში y არის როგორც K -ს ასევე g -ს მიმართ ზრდადი ფუნქცია. მაგრამ ბარომ აჩვენა, რომ გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით ენდოგენური ზრდის მოდელის ფარგლებში შეფარდება g/y , რომელიც ფაქტობრივად გამოსახავს მთავრობის ხარჯების წილს მშპ-ში და წარმოადგენს მთავრობის ზომის მაჩვენებელს, g -ს მიმართ მაქსიმუმის მქონე ფუნქციად გარდაიქმნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარკვეულ დონემდე მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზრდა ზრდის მშპ-ს მაქსიმალურ (პიკურ) დონემდე, რომლის შემდეგ ხარჯების ზრდა ამცირებს მშპ-ს. განსაკუთრებით საინტერესოს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მაქსიმალური მშპ-ს შესაბამისი g/y აკმაყოფილებს პირობას: $\frac{g}{y} = a$, სადაც a პარამეტრი (1) ფუნქციაში გამოსახავს ერთ სულზე გამოშვების ელასტიკურობას ერთ სულზე ხარჯების მიმართ. მაშასადამე, ამ ლოგიკის მიხედვით მთავრობის ოპტიმალური ზომა, რომელიც ახდენს მშპ-ს მაქსიმიზაციას, ბაროს ენდოგენური ზრდის მოდელში რაოდენობრივად ემთხვევა მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ელასტიკურობის კოეფიციენტს. დაზუსტებისთვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ $\frac{g}{y} = a$ ტოლობა იმავდროულად გულისხმობს, რომ მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზღვრული პროდუქტი უნდა უდრიდეს ერთს. აღსანიშნავია, რომ ბაროს ენდოგენური ზრდის მოდელში მთავრობის ოპტიმალური ზომის პირობებში გამოშვებასთან ერთად მაქსიმუმს აღწევს ასევე შინამეურნეობების სარგებლიანობა.

ბაროს და არმიის მრუდის თეორიული პოსტულატების შეჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე მიდგომას აქვს ერთი საერთო ნიშანი - ორივე მოდელი განსხვავებული მეთოდოლოგიით, თუმცა ერთნაირად ანალიზებს მთავრობის ოპტიმალურ ზომას. მათ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ბაროს შემთხვევაში მთავრობის ზომის ზღვრული პროდუქტი იზომება კაპიტალის მწარმოებლურობასთან კავშირში, ხოლო არმიის მრუდი ანალიზებს მთავრობის ხარჯების ზღვრულ პროდუქტს სხვა ფაქტორებთან კავშირის გარეშე. ამ მოდელში, ბაროს მოდელისაგან განსხვავებით, როგორც საშედეგო ცვლადი ძირითადად გამოიყენება მშპ და არა მშპ ერთ სულზე.

საქართველოსთან მიმართებაში მთავრობის ზომის შეფასებისათვის თავდაპირველ ეტაპზე ვეცადეთ ბაროს მოდელის გამოყენებას, როგორც ცვლადთა ერთ სულზე გაანგარიშებით ასევე მის გარეშე. ორივე შემთხვევაში მიღებული შეფასებების სტატისტიკური მახასიათებლები არადამაჯერებელი იყო, ასევე ადგილი ჰქონდა ავტოკორელაციის პრობლემას. ამიტომ უარი ვთქვით ბაროს მოდელის გამოყენებაზე და ე. ბალაცკის., ა. ეკიმოვას¹ მსგავსად მივმართეთ არაწრფივ (კვადრატულ) მოდელს, რომლის თეორიული ვარიანტი შემდეგი სახისაა:

$$y = A + a_1(g) + a_2(g)^2 + \varepsilon \quad (2)$$

აქ შემავალი ცვლადები შემდეგი შინაარსის მქონეა:

y - რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი;

g - მთავრობის ხარჯების (შესყიდვების) წილია რეალურ მშპ-ში;


ε_t - შეცდომების შემთხვევითი სიდიდეა.

საქართველოს რეალობისთვის (2) მოდელის თავდაპირველმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ მოდელში შემავალ შეცდომებს პირველი რიგის ავტოკორელაცია გააჩნდათ. ამ პრობლემის გადასაღწევად გამოვიყენეთ რობასტული შეფასებების მეთოდი. რომლის მიხედვით საქართველოში მთავრობის ოპტიმალური ზომა 1996-2018 წლების მონაცემების თანახმად დაახლოებით შეადგენდა 20%-ს. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს იმ

¹Балацкий, Е., Екимова, А. Налогово-бюджетная политика и экономический рост. Общество и экономика, № 4-5, 2011.

სიდიდეს, რომლის დროსაც საქართველოში მშპ-ის ზრდის ტემპი აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას (იხილეთ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. არმეის მრუდი საქართველოსათვის



აღსანიშნავია, რომ მიღებული მთავრობის ოპტიმალური ზომა ცალკეულ წლებში (2003-2018) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი ფაქტობრივი მაჩვენებლისგან (იხილეთ ცხრილი 2), რაც არსებული ფისკალური სტიმულების, მაკროეკონომიკური მიზნების ხელახლა გაანალიზების აუცილებლობაზე მიუთითებს. როგორც ცხრილ 2-დან ჩანს, მთავრობის მწარმოებლური ხარჯების (g) ფაქტობრივი სიდიდე მთავრობის ზომის ოპტიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით ახლოს იყო 2010 და 2018 წლებში, რომელებსაც შეესაბამებოდა მშპ-ის 7.20%-იანი და 4.7%-იანი ზრდა. სხვა წლების უმრავლესობაში ფაქტობრივი ზომის მნიშვნელობა ჩამორჩება შეფასებულ მაჩვენებელს, ხოლო 2007-2009 წლებში აღემატება კიდევ. როგორც ჩანს, საანალიზო პერიოდში (1996-2018 წლები) მთავრობის ზომის ფაქტობრივი მნიშვნელობები ძირითადად არმეის მრუდის აღმავალ ნაწილზეა განლაგებული, რაც მშპ-ის ზრდის სტიმულირებისთვის გარკვეულ (პოტენციურ) შესაძლებლობად შეიძლება განვიხილოთ. მთავრობის შეფასებული ოპტიმალური ზომა ადასტურებს ცალკეულ წლებში მთავრობის ხარჯების არაეფექტიანობას მშპ-ის სტიმულირების პროცესში.

ცხრილი 2. შესაბამისობა მთავრობის ზომასა და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის

წლები	მთავრობის ფაქტობრივი ზომა (გ) (მთავრობის ხარჯები/მშპ)	მშპ ზრდა	მთავრობის ოპტიმალური ზომა (1996:II-2018:IV)
2003	10.00	11	20%
2004	14.00	8	
2005	17.00	5.8	
2006	15.00	9.6	
2007	22.00	11.8	
2008	26.00	2.7	
2009	24.00	-4.1	
2010	21.00	7.2	
2011	18.00	6.6	
2012	18.00	6.1	
2013	17.00	3.8	
2014	17.00	4.4	
2015	18.00	3.2	
2016	18.00	3.1	
2017	17.00	4.9	
2018	19.00	4.7	

ნაშრომის ძირითადი შედეგები

1.გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების თავისებურებიდან გამომდინარე, სტრუქტურული რეფორმების სწორად წარმართვა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა.

2.გარდამავალი ეკონომიკის მქონე 25 ქვეყნის მონაცემებით შეფასებული პანელური მოდელების თანახმად, მშპ-ის ზრდაზე ჩვენს მიერ განხილული 8 ფაქტორიდან ზოგიერთის გავლენის მიმართულება მკვეთრად გამოხატული არ არის. ამავე დროს, ცხადად იკვეთება, რომ 1999-2014 წლებში მშპ-ზე დადებითი გავლენის მქონე ფაქტორებს წარმოადგენდა ინვესტიციები და სტრუქტურული რეფორმების ინდექსი, ხოლო უარყოფითი გავლენის მქონე ფაქტორებად მოგვევლინა ინფლაცია, მშპ-ში მთავრობის ხარჯების წილი და ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი.

3.მაკროეკონომიკურ პარამეტრების სამართლებრივი შეზღუდვები აფერხებს ეფექტური, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის გატარებას. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელზე გადამეტების კანონმდებლობით დაშვება

მომავალში არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს წინაპირობება შეიძლება გახდეს.

4.თეორიული და ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ მაკროეკონომიკურ აგრეგატების ცვლილებაზე ფისკალური შოკების გავლენის ზომა და მულტიპლიკატორის ნიშანი დამოკიდებულია ქვეყანის მაკროეკონომიკურ გარემოზე და გამოთვლის/შეფასების მეთოდზე. ჩვენს მიერ შეფასებული სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის (SVAR) მოდელის ფარგლებში მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მთავრობის ხარჯების კომპონენტების გავლენა მშპ-ზე უმნიშვნელოა. კვარტალური მონაცემების პირობებში გავლენის ეფექტი არ ვლინდება პირველი კვარტლის განმავლობაში, შემდგომ კვარტლებშიც მცირეა და ცალკეულ შემთხვევებში უარყოფით მნიშვნელობასაც ღებულობს. კერძოდ, მშპ-ზე მთავრობის მოხმარების გავლენა მაქსიმუმს აღწევს მესამე კვარტალში, ტრანსფერებისა და გრანტებისა მეორე კვარტალში, პროცენტის გავლენა - მეორე კვარტალში; სხვა ხარჯების გავლენის ეფექტი ყველა კვარტალში უარყოფითია. რაც შეეხება მულტიპლიკატორის კუმულაციური მნიშვნელობას, მისი სიდიდე ყველაზე მაღალია მთავრობის მოხმარების მიმართ, რომლის შემდეგ მოდის გრანტებისა და პროცენტის მაჩვენებელი. ხოლო, სხვა ხარჯებისა და ტრანსფერების მულტიპლიკატორის მნიშვნელობა უარყოფითია. ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ მშპ-ის ზრდის ხელშეწყობისთვის საქართველოში ფისკალური სტიმულები ორიენტირებული უნდა იყოს მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზრდაზე.

5.მთავრობის ზომის ანალიზისათვის სხვადასხვა მაჩვენებელი გამოიყენება. ასეთებია, მაგალითად, ქვეყნის მთლიან აქტივებში მთავრობის აქტივების წილი, საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის თანაფარდობა მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობასთან, მთავრობის ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან, საბიუჯეტო შემოსავლების წილი მშპ-ში და სხვ. ჩვენს ნაშრომში მთავრობის ზომის მაჩვენებლად ვიხილავთ მთავრობის ხარჯების (შესყიდვების) წილს რეალურ მშპ-ში და მას აღვნიშნავთ g -თი. ამასთან, g -ს ისეთ მნიშვნელობას, რომლისთვისაც რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი მაქსიმალურია, ვუწოდებთ მთავრობის ოპტიმალურ ზომას (g^*). ზოგადად მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი დამოკიდებულია ქვეყნის

შიგნით მიმდინარე მაკროეკონომიკურ პროცესებზე და ამის გამო შეიძლება ქვეყნების მიხედვით განსხვავებული იყოს. 1996-2018 წლების მონაცემებით ჩვენს მიერ შეფასებულმა მოდელმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მთავრობის ოპტიმალური ზომა დაახლოებით 20%-ის ტოლია, რომლისგან გადახრა უარყოფითა გავლენას ახდენს მშპ ზრდის ტემპზე.

გამოქვეყნებული შრომები

1. ტაბაღუა, ს. ბაზარი და სახელმწიფო: ფუნქციათა ევოლუცია და გარდამავალი პერიოდი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა” მარტი-აპრილი, 2(2), თბილისი, 2009;
2. ტაბაღუა, ს. მოხმარების მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუცია. ჟურნალი „ეკონომისტი“, №4, 2013. (თანაავტორობით ოსტაპენკო, ნ);
3. ტაბაღუა, ს. მოხმარების მაკროეკონომიკური ფუნქციის ძირითადი დეტერმინანტების ანალიზი. ჟურნალი “ეკონომიკა და საბანკო საქმე”, ტომი 2, 2014. (თანაავტორობით ოსტაპენკო, ნ);
4. Tabaghua, S. Optimal size of government and economic growth in case of Georgia. Published International conference 4th “Actual Economy: Local Solution for Global Challenges“, Copenhagen, Denmark. 2016, conference proceedings;
5. ტაბაღუა, ს. მთავრობის მასშტაბის (ზომის) გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №1, იანვარი-მარტი, 2016;
6. Tabaghua, S. Optimal Size of Government and Economic Growth: The case of Georgia. Journal “Actual Problems of Economics” №7, 2017. ჟურნალი ინდექსირებულია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: EBSCOhost ; EconLit; ABI/Inform by ProQuest; Erih Plus;
7. Tabaghua, S. Government spending multiplier and economic growth in Georgia. 2nd Geneva International Conference on Advance Research 2017 Geneva, Switzerland July 11-12, 2017, conference proceedings;
8. Tabaghua, S. Economic Growth in Transition Economies: Does investments matter?”. 38th International Academic Conference, Prague organized by the International Institute of Social and Economic Sciences in 11 June 2018 to 14 June 2018 in Prague, Czech Republic, conference proceedings;
9. Tabaghua, S. Some Fiscal and Monetary Aspects of Consumption Theory. Journal “ECOFORUM”. Volume 7, Issue 3(16), 2018 (with Ostapenko, N).

კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნა შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე

1. International conference 4th “Actual Economy: Local Solution for Global Challenges“, Copenhagen, Denmark. 2016;
2. Geneva International Conference on Advance Research 2017, Geneva, Switzerland, July 11-12, 2017;
3. Geneva Economic Forum. July 11-12, 2017. Geneva, Switzerland;
4. International Academic Conference, Prague organized by the International Institute of Social and Economic Sciences in 11 - 14 June 2018 in Prague, Czech Republic.